



№ 21

25 მაისი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

ქოველ კვირეული საზოგადო-მაკონო-

ვიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მესამე

ცალკე ნომერი 5 კაკ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ეროვნული უძღურება.— შალვა ჯ—ძისა.
2. რა სდება სათავად-აწმყნო გიმნაზიაში.— * * -სა.
3. ჩვენს დემუტატებმა გაიმარჯვეს.— უკმაყოფილოსი.
4. ჩემი პირველი სიუვარული (მთხრობა) თარგმ.— ირ. სონღულაშვილისა.
5. თავადიშვილის შეურნება.— ალ. სარაჯიშვილისა.
6. გონიერი ნაბიჯი.— ეკალისა.
7. ბოიკოტი.— ე. ალშიბაიასი.
8. ზრესა.

ჩვენს რედაქციაში გამოფენილია ოთხი სურათი

== ცნობილ მხატვარ გ. ი. გაბაშვილისა.

„საღამო საქართველოში“, „ხმისურთა ბრძოლა“,

„კველი ივერიელი“ და „ქალი ყურანით“.

მათი დათვალიერება შესრულეთ შეუძლიანთ

უოველ დღე დღის 11—2 საათამდის.

ეროვნული უძლეობა და მისი სამი სახე

I

ეროვნული საკითხი, ჩვენთვის ყოველდღიურ საკითხად არის გადაქცეული და ეს მოვლენა არც გასაკვირველია თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ორონ-ტრიას, რომელიც ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში შემოიტანეს „შინაურმა“ და „გარეულმა“ პოლიტიკოსებმა. რომელ ერს არ ჰქონია თავის ეროვნულ ისტორიის წარსულში თვითარსებობის კრიზისი, რომელ ხალხს არა ხედომია წილად შავი წამები? განა საფრანგეთი არ იდგა გადაფრული რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში საშიში „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხის წინაშე; განა ბალკანთა პატარა ერები ძარღვებ დაქიმულნი არ ებრძოდნენ ტლანქ ძალას, მიმართულს მათი მოსპობისაკენ? მაგრამ მათი სიძლიერე სწორედ იმაში გამოიხატა რომ არანარმალებურმა პირობებმა ვერ არივ-დარიეს, ვერ შეიტანეს დისონანსი ეროვნულ თვითცნობიერებაში და ამ მიზეზით ისტორიის დამსჯელი ხელი, მათზედ ამართული, სასიკვდილო სიმძიმით ვერ ეშვებოდა მათ ტანზედ. ჩვენ, ქართველები ბედით განებივრებული არასოდეს არა ვყოფილვართ, ბევრჯელ წამდგარან ჩვენი წინაპრები მრისხანე საკითხის წინაშე, მაგრამ იმის მიზეზით, რომ მათში ღვიოდა თვითშემეცნების ნაპერწკალი, არ ემონებოდნენ მათზედ მოდენილ ძალას. საუბედუროდ ეს ეხლა არ ითქმის, არ ითქმის დღევანდელ ჩვენ თანამემამულეებზედ. ჩვენ მიერ ისტორიულად განვლილ უბედურებას, აწიოკება-აოხრებას, ეროვნულ შეურაცხყოფას, მის სიწმინდეთა ფეხქვეშ გათელვას ეპიზოდური-გარდამალი ხასიათი ჰქონდა და თვით ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს ვერ ასწეულვდა, დღეს კი, სენმა, რომლის სახელიც ძნელი მოსანახავი არის, შეჭკრა-შებოჭა მთელი ჩვენი ბუნება და იმ მოჯადოვებულ წრეში მოგვამწყვდია, საიდგანაც თავის დაღწევას მაშინ შევიძლებთ, როდესაც შენარჩუნებულ სულიერ ძალის სპეტაკ გრძნობებს დავუღებთ სარჩულად ჩვენს ცხოვრებას და ეროვნულ თვითგაცნობიერების გზას დავადგებით. გავიხსენოთ ბალკანთა პატარა ერების საუკუნოების თვითცნობიერების ისტორია, მისი ყოველი ეტაპი

და ნათელი გახდება ყველასათვის, რომ ერი თავის ეროვნული თავისებურობის უარისმყოფელი ვერ იხილავს ისეთ ბრწყინვალე დღეებს, როგორიც იხილეს ბალკანელებმა. ერს ფიზიკური სიკვდილის შიში თითქმის არასოდეს არა აქვს, და ეს იმედიანობა არ არის მოკლებული საღ საფუძველს. რადგანაც ეროვნება როგორც ფიზიკური ტანი არ არსებობს, და სიკვდილიც არ შეუძლია; ისტორიის გარიჟრაჟზედ შობილმა ერებმა, ასურელებმა, კართაგენელებმა, ეგვიპტელებმა და სხვ. ცალ-ცალკე შექმნეს თავისებური კულტურა და შთამომავლობას გადმოსცეს საუცხოვო სიმდიდრე ხელოვნების ნაშთთა და მათი მოსპობის ტრაგედია იმათსულიერ სისუსტეში და სიძაბუნეში კი არ გამოიხატა, არამედ იმაში რომ სულიერმა სიდიადე-სიმძლავრემ სჭარბა მის ფიზიკურ სიძლიერეს. ჩვენი დღევანდელი ტრაგედია კი ასე არ ხასიათდება. იმ სამ თვისებათა შორის, რომლებიც ძირითადად ახასიათებენ ყოველივე ერს, ანუ ეროვნებას—უმთავრესი ადგილი უჭირავს ენას. ენა ხილული შინაარსი ეროვნებისა, მისი მკვიდრი თვისება; იგი ერთს და იმავე დროს აცოცხლებს და სცოცხლობს ეროვნებით, ამიტომ ენის დაკნინება, მოსპობა, აუცილებელი წინამორბედია ერის ფსიხოლოგიური სახის დაკარგვისა. ენა, საჭირო სიმბოლოთა გამომხატველი კი არ არის მარტო, ენა გარეშე ამისა, მრავალსახოვანი ფერადია სულიერ განცდათა გამომხატველი, ინდივიდთა შინაგანი ფარული ცხოვრების დამასურათებელი; მუსიკალური მანქანა არის, რომლის კეშმარტი ამეტყველება მხოლოდ მასთან თანშობილს შეუძლია და ამ მხრით, ვიმეორებ, ენა ერის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება არის. რას უშვრებით ჩვენ ამ ეროვნულ სიმდიდრეს? იმ მოსახრებით რომ მას დღეს-დღეობით ბაზარი არა აქვს, ვსდევნით და აბუჩად ვიკვდებით.

მეორე ეროვნული თვისება არის ზნე-ჩვეულება ისტორიულ წარსულშიაც შექმნილი და აწმყოს გადმონაცემი ტრადიცია, მაგრამ ტრადიცია არა წოდებრივი, შემუშავებული რომელიმე წრისა ან წოდების განცალკევებულ ცხოვრებაში, არამედ ზოგადი ეროვნული, საერთო ხალხოსნური. ტრადიცია, საზომი და მაჩვენებელი არის ეთიკურ განვითარების სიმალლისა, კავშირი არის წარსულთან, საერთო მორალური ნიადაგი, რომელზედაც აშენებს ერი ახალ ზნეობრივ ღირებულებების სამყაროს. საერთო ხალხოსნური ტრადიციის შენარჩუნება, მისი პატივის ცემა სრულებით არ წარმოადგენს, რო-

გორკ ბევრსა ჰგონია, ფსიხოლოგიურს ატავიზმს. პი-
რიქით მოწიწებით მოპყრობა თავის ზნე-ჩვეულები-
სა, მისი დაცვა და პატივის ცემა უტყუარი მაჩვენებელია,
თუ ერი რამდენად საღი გონებით ეპყრობა თავის წარსულს და ესეც რომ არ იყოს, განა
ერს გარეშე ტრადიციისა, არსებობის რაიმე სფე-
როში, შეუძლია გამოიჩინოს ცხოველ-მყოფელი
ძალა შემოქმედისა? მერე როგორ ვეპყრობით ჩვენ
ამ მეორე ეროვნულ სიმდიდრეს? ისევე როგორც
ენას, ვსდევნით და აბუჩად ვიკვებთ. ვერ შევიგნეთ
ვერც მესამე ძლიერ ცხადი ქვეშაობა. თუმცა
ტერიტორია, როგორც ენა და ტრადიცია, არ არის ერის
გარდღეალი თვისება, არ შეადგენს მის ორგანიზულ
ნაწილს, ურომლისოდაც ერს არავითარი სახით არ-
სებობა არ შეუძლია, მაგრამ ტერიტორია, ის სიერ-
ცე, რომელზედაც ერს მრავალი ასეული წლის გან-
მელობაში უშენებია თავისებური კულტურა, აუ-
ცილებელი და ერთი შესაძლებლობაა, რომ ერმა
იურიდიულად იარსებოს. ცხადი მაგალითი ეულ
ეროვნებისა, რომელმაც დაჰკარგა შესაძლებლობა
იურიდიულ თვითარსებობისა, არიან ებრაელები. რა-
მდენიმე საუკუნოების განმელობაში ეს ბიბლიური,
ისტორიული ერი მოდებულია მთელ დედამიწის
ზურგზედ, მაგრამ მკიდრი და საიმედო ნავთსაყუდე-
ლი ვერსად იპოვა. თუ რამდენად უშლის ხელს სა-
შობლოს უქონლობა ამ ერს, მის კულტურულ
განვითარებას, ეროვნულ გაერთიანებას, ამის მაგა-
ლითებად საკმარისი იქნებიან გავიხსენოთ ყოველ
დღიური ეპიზოდები ებრაელთა ცხოვრებიდან. მათ
არ ინდობენ, არამცთუ ნახევრად ბარბაროსულ სა-
ხელმწიფოებში, არც კულტურულ კუთხეებში, რა-
დვანაც ანტიემიტურ პროპაგანდას ძლიერ ბევრი
მსმენელი ჰყავს. განა პოლონეთში მომხდარი ებრა-
ელების წინააღმდეგ ბოიკოტი არ ნათელ ჰყოფს,
თუ რამდენად საშიშ მდგომარეობაში ვარდება ერი,
დამკარგველი თავისი მიწა-წყლისა. გარდა იმისა,
რომ მიწა-წყლის დაკარგვით ერი საუკუნოდ ჰკარ-
გავს საშუალებას იურიდიულ არსებობისათვის გარე-
შე ამისა კიდევ ასუსტებს მის შემოქმედებით ძალას,
აქვეითებს ეროვნულ განვითარებას და იძულებულ-
სა ხდის მოხეტიალემ იმ სოფლის ქუდი დაიხუროს
სადაც სტუმრად მიადგებად. ეს კი უტყუარი მიზეზ-
თავანია ერისაგან თავისი სახის დაკარგვისა. აქარე-
ლი და ქობულეთელი მაჰმადიანები ცხადია, რომ
ქართველები არიან, ამას ბევრი რამ ჰმოწმობს, მხო-
ლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ სხვა სარწმუნოება
აქვთ; მიუხედავად ამისა, საკმაო ცდა და შრომა

არის საჭირო, რომ ისინი ამ ქვეშაობაში დაარ-
წმუნოთ. ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენად კი-
დედ უფრო დაგვმორღებოდნენ აქარელი და ქობულე-
თელი მაჰმადიანები, თუ რომ ისინი საქართველოს
საზღვრებს გასცილებოდნენ და გარეულიყვნენ სხვა
რომელიმე ერში.

განა საქართველოს საზღვრებში მცხოვრები
სომხობა იგივე სახე დაკარგული არ იყო? რა ჰქონ-
დათ მათ შენარჩუნებული, ენა, ზნე-ჩვეულება თუ
რა? ძლიერ ხშირად სარწმუნოებასაც იცვლიდნენ,
ასე რომ სომხური მათში არაფერი იყო. თუმცა მათი
გადაგვარებისათვის შრომა არავის მიუღია, მაგრამ
მიუხედავად ამისა, იგი ნელ-ნელ ჰკარგავდა თავის
სახეს და რომ სომხის ერის თვითშეგნების პროცე-
სი მეცხრე ტალღად არ მოვარდნილიყო საქართ-
ველოს მიწა-წყალზედ, ცხადია ჩვენში შემოიხიზნუ-
ლი სომხობა უსახო მასად გადიქცეოდა. და სად
უნდა გვეძია მიზეზი ამ მოსალოდნელ მოვლენისა,
თუ არ სომხებისაგან თავის მიწა-წყლის დაკარგვაში,
მის ეროვნულ დაქსაქსვაში.

იმის გარდა, რომ ერს თუ ტერიტორია არა
აქვს, იურიდიული არსებობა არ შეუძლია, ამის
გარეშე კიდევ ტერიტორია ერთგვარი საძირკველია,
რომელზედაც ერი აშენებს თავის მატერიალურ კე-
თილ-დღეობას და ჰქმნის თავისებურ კულტურას.
თვალის გადავლოდ ჩვენ ხალხურ ეპოსს, მის მითო-
ლოგიას და დავინახავთ, თუ რამდენად მათში გამო-
ხატული ბუმბერაზები შეესაბამებიან თვალ უწვდე-
ნელ, თოვლით მოსილ მთებს, ამაყ და დიად ბუ-
ნებას ჩვენი კუთხისას.

მერე რა უყავით ამ ჩვენი წარსულის საუცხო-
ვო პანთეონს? განა არ ვარდევით გასაკვირველი
ხელოვნებით აგებულს მის კედლებს? განა არ გადა-
იქცა ჩვენი მიწა-წყალი ბინძურ პიროვნებათა სპე-
კულაციის მოედნად და ჩვენი დღევანდელი ტრა-
გედია, ეროვნული უძლოურება ამ სამ სახეში იხა-
ტება. ენის უარის ყოფით ვკლავთ ჩვენსავე სახეს;
ტრადიციის აბუჩად ავდებით ვწყვეტთ კავშირს წარ-
სულთან, მიწა-წყლის გაპარტახებით ვსპობთ ერთ
შესაძლებლობას ჩვენივე არსებობისას; ეს არის ჩვე-
ნი ეროვნული ტრაგედია, ამ სამი მცნების უარის
ყოფით, უარს ვყოფთ ჩვენსავე თავსა, მაგრამ მიუ-
ხედავად ამისა ჩვენ მაინც არ შეგვიძლია დავადას-
ტუროთ ბევრისაგან ნაჩვენები უიმედობა ჩვენი
აღორძინების შესახებ, რადგანაც უკვე ვხედავთ ნი-
შნებს რომ ჟამი მწუხრისა იძლევა და მისი თავიდ-
გან აცილება კვლავ შესაძლებელი არის.

შალვა ჯ — ძე.

რა ხდება სათავად- აზნაურთა გიმნაზიაში

თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია, რომელიც წარმოადგენს ქართველი საზოგადოების ერთ-ერთ საყვარელ და ძვირფას დაწესებულებას, ამ უამად—განსაცდელშია. განსაცდელშია ორგვარად: მატერიალურად, რადგან მისი შენობა მძიმე ლოდით აწევს თავისი ვალებით ქართველ საზოგადოებას, და სულიერადაც, იმ კრიზის გამო, რომელსაც ეხლა განიცდის.

ჩვენ შარშანაცა ვწერდით და წრულ უაღრესად დამტკიცდა, რომ გიმნაზია უპატრონოდ არის დატოვებული, რომ მას არა ჰყავს მოამაგე და მოსიყვარულე მუშაკი, უანგარო და ნიჭიერი.

ერთად ერთი საშუალო სასწავლებელია მთელს ქართლ-კახეთში, რომელსაც ოდნავ შერჩენია, ტრადიციის მეოხებით, ქართული სული, ერთად-ერთი სასწავლებელია, რომელზედაც ქართველი საზოგადოება ასვენებს თავის გონებას, ამყარებს თავის იმედებს და ხარჯავს დიდს ნაწილს თავისი ბიუჯეტისას. და მისი ბედი კი ვის ხელშია...

აქამდის პარტიულ, ჯგუფობრივ ჟინს მაინც არა ჰქონდა თითქო ადგილი ამ სასწავლებელში და ახლა, ეტყობა, აქაც შეუტანიათ ეს გამათახსირებელი ელემენტი, რადგან სხვაფრივ ვერ აგვისნინა ის წარმოდგენილი ამბავი, რომელიც ხდებოდა „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების“ უკანასკნელ კრებაზედ.

სასკოლო საქმეების განხილვის დროს, ზედამხედველ კომიტეტის ორმა წევრმა ბნმა ყიფიანმა, და ს. ბაქრაძემ გულახდით ახადეს ფარდა იმ უწყესობას და უდისციპლინობას, რომელიც ხდება სკოლაში; დაახასიათეს ის მიზეზები, რომელნიც სწავლის საქმეს აფერხებენ, როგორც, მაგ, შეგირდებისა და მასწავლებელთაგან სკოლაში არ მოსვლა და დაგვიანება; მასწავლებელთა შეუფერებლობა, დისციპლინის უქონლობა და სხ. მრავალი. ამაზედ ბ მამდივანმა მარტო პირადი კინკლაობით უბასუხა, რომელმაც ბაქრაძესთან ლაპარაკში პირდაპირ გადააქარბა უბრალო ზრდილობასაც კი. ბ-ნ ბაქრაძის დასაბუთებულ აზრს იგი შეეხო როგორც პირად-საანგარიშო საქმეს და საზოგადოებისაგან ამორჩეულს და ნდობით აღჭურვილ ადამიანს—ატესტატი მოსთხოვა. ესეთი არა დარბაისილოვი საქციელით

საერთო აღშფოთება გამოიწვია და მართლაც, რა ზნეობრივი გავლენა შეიძლება იქონიოს ამისთანა კინკლაობამ ზედამხედველ კომიტეტის და საპედაგოგო პირთა შორის ან საზოგადოებაზედ, ან თვით პედაგოგებზედ.

მაგრამ მარტო იმ მოსაზრებით, რომ ბაქრაძემ ზოგი ერთი სიმართლე გამოამჟღავნა, საზოგადოებამ (?) იგი გააშავა. ეს რაღაც გაუგებარია.

ზედამხედველი კომიტეტი, რომელმაც შარშან სრული უმწიფობა გამოიჩინა საქმეებში და წრულაც მისმა თავმჯდომარემ გულწრფელი სიტყვით დაასრულა თავისი თანამდებობა: **უნდა სრულიად განახლდეს კომიტეტის შემადგენელობა და უფრო ახალი, მომუშავე პირნი შევიდნენ შიგაო,**— ასეთი კომიტეტი, რასაკვირველია ზნეობრივად მოვალე იყო უარი ეთქვა თავის „მუშაობაზედ“, მაგრამ ზოგიერთმა წევრმა, როგორც მაგ. დ. ჯორჯაძემ, არამცთუ უარი არ განაცხადა, იგი ავტოციასაც ეწეოდა ზოგიერთი ყოფილი წევრის წინააღმდეგ და ახლის ამორჩევისათვის. ესეთი საქციელი არამცთუ გაუგებარი, პირდაპირ უხერხული და დასაგმობია: უბრალო ტაქტი მოითხოვს—კოლეგის წევრი სდუმდეს, როცა მის კოლეგებს ირჩევენ. მაგრამ ბ-ნი ჯორჯაძე უფრო შორს წავიდა და მისმა მოუბრუნებლობამ აპოგეის მიადწია, როდესაც თამამად იცრუა მთელი საზოგადოების წინაშე და გამოაცხადა: **მე დავალეული მაქვს თ-დ დიმიტრი ჩოლაყაშვილისაგან, რომ იგი თანახმაა კომიტეტის წევრობაზედ ყუთი დაიდგას.** ეს განიმეორა კიდევ და მას დამოწმა ბ-ნი გოგოლაშვილიც. თ-დ დ. ჩოლაყაშვილმა გულახდით გამოაცხადა ვახეთებში, როგორც შეეფერებოდა ყოველ პატიოსან ადამიანს, რომ მას არავისათვის არც დაუბარებია და არც დაუვალეობია მისი ყუთის დადგმა.

ყველა ამის შემდეგ, რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს ბ-ნ ჯორჯაძეს ან კომიტეტის ან საზოგადოების და ან პედაგოგიურ საბჭოს თვალში. ან როგორღა უნდა დარჩეს იგი იმ დაწესებულებაში, საცა ასე თავი შეირცხვინა უხერხულ ავტოციით და სიცრუით.

თ-დმა ჩოლაყაშვილმა უარი განაცხადა თანამდებობაზედ იმ მოსაზრებით, რომ **არ იცნობს საპედაგოგო და სასკოლო საქმეს**—ეს თითქმის დაუჯერებელი სულის სიმადლეა ქართველ საზოგადოებაში რასაც ჩვენ გულწრფელის სიხარულით ვეგებებით, მაგრამ რა უნდა ვსთქვათ ისეთ ჯორჯაძეებზედ, რომელნიც ასეთ სამსახურს უწყევნენ, როგორც თ ჩოლაყაშვილს, ისე სკოლას.

ჩვენის აზრით, თ-მა კ. მაყაშვილმაც უნდა განაცხადოს უარი კომიტეტში მონაწილეობაზედ — შემდეგის მოსაზრებით: იგი დატვირთულია ბევრი საქმით და დიდი ხნობით იმყოფება ქალაქ გარედ, რაც ხელს შეუშლის საქმის მუყაითად შესრულებაში. პასუხის-მგებლობა კი მეტად დიდი ექნება. შეუძლებელია პატიოსნად საქმის შესრულება, როცა ათასი სხვა მოავლეობა აწევს ადამიანს.

ამავე მოსაზრებით, ჩვენ ყოველად შეუძლებლად მიგვაჩნია თავმჯდომარედ მოწვევა ბ-ნ მარშლის, რადგან ყველა ჩვენი საზოგადოებრივი ნაკლი იმისაგან წარმოსდგება, რომ ერთსა და იმავე პირს ათასი საქმე ევალება. ბ-ნი მარშალი იმისთანა დაწესებულების სათავეში სდგას, რომელსაც განუზომელი სამუშაო აქვს დღევანდელ პირობებში და მისი პირდაპირი მოვალეობის აღსრულებაც მეტად დიდი ტვირთია, რომ საჭიროა იყოს ზედმეტად მისი დატვირთვა. ამას გარდა, თავად-აზნაურობის წინაპირობა, ისედაც პატრონი და თავმჯდომარეა სასკოლო საქმეში, რადგან სასკოლო საზოგადოებაც იგივე თავად-აზნაურობაა, სკოლაც თავად აზნაურობისაა, და განსაკუთრებით მისი ხარჯით იკვებება. სრულებით საჭირო არ არის მარშლის მოქმედება დავაქუცმაცოდ და ყველა დაწესებულების ყოველდღიურ საქმეში მონაწილეობა მივალდებინოთ; მით უფრო რომ, თავის მოვალეობის მტკიცე შეგნებით, მან წერილობითი უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ.

ერთად-ერთი მოსაზრება შეიძლება იყოს ბ-ნ მარშლის თავმჯდომარეობის სასარგებლოდ — ეს რომ, ვის აძლევს და ვის ანდობს თავად-აზნაურობა იმოდენა აუარებელ ფულს და ვის ხელშია ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-განათლება, მაგრამ ამის საშველად სხვა საშუალებაც ბევრი აქვს თავად-აზნაურობას და უნდა კიდევ მიიღოს ზომები ჩვენი სკოლის დახსნისათვის განსაცდელისაგან.

აქ აღარ შეეხებოთ იმ პრინციპიალურ საკითხებს, რომელნიც წამოყენებულნი იყვნენ სასკოლო კრებებზედ, რადგან ისინი სრულიად იჩრდილებოდნენ გრძნობათა შეხლა-შემოჯახებით და მათს ნაშედეგად სახეს შემდეგ წერილში მოგახსენებთ. ჯერ-ჯერობით კი აუცილებლად მიგვაჩნია დამატებითი არჩევნების დანიშვნა.

ჩვენმა დებუტატებმა გაიმარჯვეს!

დიდი ხანია ცხადი გახდა, რომ სახ. სათათბიროს კანონმდებლობითი შემოქმედება მისი ეხლანდელ უმრავლესობის წყალობით სახარბიელოს არაფერს წარმოადგენს. პროფ. ტრუბეტკოვი მისი უმწეო მდგომარეობა ესე დაახასიათა: „ჩემს ბავშვობისას სეირნობის დროს ჩვენი მეეტლე კოფოზედ დამსვამდა ხოლმე თავისთან და სადავეზე ხელეებს მომაკიდინებდა და მეც მიხაროდა, ვითომ მე მივერეკებოდი ცხენებსაო“. მართლაც უსუსურია სათათბიროს როლი რუსეთის ეხლანდელ პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობაში, მაგრამ ზიუხედავთ ამისთანა უილაჯო მდგომარეობისა, სახელმწიფოს მთელი მოწინავე საზოგადოების ყურადღება მაინც მისკენ არის მიპყრობილი, რადგან გონება ჩვენი ვერ შეჭრივება საკანონმდებლო დაწესებულების ფაქტიურ არ ქონას, რადგან ყოველმხრივი რეფორმა უუსაჭიროეს საგნად არის მიჩნეული ამ ჟამად. ჩვენ ქართველებიც გამოჩაქის არ შევადგენთ ამ შემთხვევაში.

ის მოვლენა სახ. სათათბიროში ჩვენი დებუტატები რომ მხოლოდ სოციალისტები არიან ყოველთვის ფრიად საინტერესო და დამაფიქრებელ მოვლენას წარმოადგენს. ცხადია ხომ, ჩვენი აწმყო სოციალურ პოლიტიკური ნიდაგი სრულიად არ შეეფერება იმ ფორმას, რომელსაც ამჟღავნებენ ჩვენი დებუტატები (მეტადრე ს.-დ.—ბი), ვითომდა ჩვენი ერის სახელით, ვითომც მისი ხსენება იქ თითქმის ჯერ არც კი ყოფილა. აქამდის ჩვენი დებუტატების ტაქტიკის აწონ-დაწონის დროს, ყოველთვის ქართველური სოციალ-დემოკრატები გვეყვანდა მხედველობაში და ამიტომ ისე არ გვიკვირდა, თუმცა ძლიერ გვეწყინდა, რომ საქართველოს დებუტატები მთელ თავის პირდაპირ დანიშნულებას და ენერჯიას სრულიად რსუეთის პროლეტარიატის დაცვას ანდომებდნენ, თუმცა მას თავისი მოსარჩლეები საკმაოდ ჰყვანდა. მეოთხე სათათბიროში კი ქუთაისის გუბერნიიდგან მაინც ვედირსენით „საეროვნო პარტიის“ (როგორც უწოდებდნენ არჩევნების დროს) წარმომადგენელის გაყვანას. უნდა გვეფიქრა, რომ ასეთი მცირედი გამარჯვებაც კი „საეროვნო“ იდეალისა კოსმოპოლიტურზედ, სასიამოვნოდ და საიმედოთ უნდა მიგვეჩნია, თუ მართლა გვეწამდა, ეს

* * *

იდეალები. ამისთვის გვინდა ვნახოთ რამდენად გამართლდა ჩვენი იმედი და რა სიმაღლეზედ უჭირავს „ქართული საეროვნო პარტიის“ დროშა დეპუტატ გელოვანს. გადაათვალიერეთ მთელი სიტყვა და მოქმედება დღიდან მისი გადუბუტატებისა და რას ნახავთ, ცოტათი მაინც რომ მოეცხოს მალამო ჩვენ დაწყლოლებულ საეროვნო იდეალებს. წინად „სახალხოელთ“ პირზედ ის ეკერათ, რომ საქარაველოს წარმომადგენელი არ სჩანს სათათბიროში ქართველი ს.-დ—ის ულტრა-კომპოლიტურ მიდრეკილების წყალობითო. ეხლა რაღა მოგვემატა? ის რომ შრომის ჯგუფს მხოლოდ ერთი თავადი ჰყავს ბ-ნი გელოვანი, რომელიც პირნათლად ასრულებს ჯგუფის მიერ დადგენილ ტაქტიკას და აკი მისი კეთილ საიმედობის ფურცელიც მიიღო, „სახალხოში“ ამ დღეებში ბ-ნი კერენსკისაგან; მაგრამ ჩვენი საეროვნო იდეალებისთვის რა?.. სათათბიროში „საქართველო“ არ ხსენებულაო, გავიძახოდით წინად ს.-დ—ის უკმაყოფილონი. ეხლა კი ხშირად იხსენიება ეს სახელი გელოვანის წყალობით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პირველ მის სიტყვას (საქართველოს ავტონომიის შესახებ), რომლითაც მან თავრიდის სასახლის მსმენელთ სახეზედ მხოლოდ კითხვითი და განსაცვიფრებელი ნიშნები გამოსახა? ხიზანთა საკითხის განხილვის დროსაც „ჩხეიძესთან შეთანხმებულად“ მოქმედებდაო. ამოწმებს იგივე „პატრონი“ მისი კერენსკი. ის მხარს უჭერდა მთავრობის „დემოკრატიულ“ კანონ-პროექტს, რომლის წყალობითაც ჩვენი მიწა-წყალი უცხო ტომის ხელში გადადის ძალაუნებურად და ამ გვარად ჩვენი მუშა ხალხის საზარალოდ წყდება ხიზანთა საკითხი, თუ ეთნოგრაფიულის თვალსაზრისით შევხედეთ მას და არა **წოდებრივის**, როგორც ამას სჩადიან.—ყველაზედ საინტერესო და მარჯვე დროს სახელ. სათათბიროს უფლებრივ ცხოვრებაში, ბიუჯეტის განხილვის დროს, როდესაც ყოველ პარტიას, ყოველ ერის წარმომადგენელს თითქმის განუსაზღვრელი უფლება აქვს მონიჭებული, რათა გაჰკიცხოს მთავრობის წარმომადგენლები უსამართლო მოქმედებისათვის და დააყვედროს მისივე საჭირო კრედიტი, ამ დროს ჩვენი „საეროვნო პარტიის“ წარმომადგენელიც 15 სხომიდგან დათხოვნილი და ამგვარად მოკლებულია საშუალებას ჩვენ კირ-ვარაზზედ და ჩვენ ეროვნულ შევიწროებაზედ ილაპარაკოს, ჩვენი წარმომადგენელი ისე არა სჩანს, ისევე საერთაშორისო პროლეტარიატის, საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლაში არის გაბმული და უნ-

და გამოვტყდეთ, რომ ამ ბრძოლაში ქართველმა დემოკრატებმა ყველას გაასწრეს, „რეკორდი“ აიღეს. **ქართველმა** დეპუტატმა კ. ჩხეიძემ თავისი სოციალისტურ რესპუბლიკანური სიტყვით გამოიწვია ეს აურზაური. ის მისცეს პასუხის გებაში. მას მოუვიდა სალამი ევროპის პროლეტარიატის მოთავეთაგან. მის გულისთვის მოახდინეს სათათბიროში ობსტრუქცია. ამ ობსტრუქციის დროს თავი ისახელა მეორე ქართველმა ჩხენკელმა. ისტორიული საქმე იმანაც ჩაიდინა. მისი იშვიათი სიჯიუტის გამო სათათბიროში პირველი შევიდა „უხეში ძალა“, რომელსაც ის დაემორჩილა. ესეც აღინიშნება სათათბიროს ისტორიაში. რასაკვირველია „ტრუდოვიკი“ გელოვანიც არ ჩამოუვარდა და ამ გვარად ჩვენი დეპუტატების **ასი პროცენტი 15** სხომიდგან იყო დათხოვნილი „თავგანწირული ბრძოლისთვის“ იმ დროს როდესაც ჩვენზე უკეთეს პირობებში მდგომ პოლონელთა და სხვა ერთა წარმომადგენელნი სეირს უტკეროდნენ. ამ „გასართობ“ საქმეს და მათ თავის დროზედ ისარგებლეს, რათა თავიანთ ერის სახელით დაეგმოთ მთავრობა და მოეთხოვათ ეროვნული უფლების დაცვა და ხელ შეუხებლობა. ამ დროს მთავრობის „სახელმწიფოებრივი მოსაზრების“ წყალობით გვეკარგება შიდა ქართლის საუკეთესო ნაწილი, ამ დროს ჩვენი საკუთარი ეროვნული მდგომარეობა თავდაცვას თხოულობს, მაგრამ აღბად ეს „თავდაცვა“ ისე მომხიბლელი არ არის სხვის თვალში, როგორც კოსმოპოლიტურ იდეალებისთვის ბრძოლა. ჩვენ წინა დევ ვიცით. რომ აქედან იმ დასკვნას გამოიყვანენ, ვისაც, ეს ძლიერ უნდა, რომ ვითომ ჩვენ წინააღმდეგები ვიყვეთ ამ იდეალებისა ჩვენი ერი რომ სხვა უკეთეს პირობებში იყოს და არ სჭირდებოდეს თვისი ყოფნა არ ყოფნაზედ ფიქრი; ახლა კი, ამ პირობებში, ჩვენ გულს გვაკლია და ვშიშობთ რომ ქართველურმა „ალტრუისტულ“ ბედოვლათობამ საბოლოოდ არ მოგვტეხოს კისერი და მტერი არ გააცინოს ჩვენზედვე.

უკმაყოფილო.

ჩემი პირველი სიუჟარული

(ღ. ტომასი)

კვირაობით ბ-ნი ფონ-რუჰპთან დავდიოდი და იმასთან ვსაღილობდი—ნება დართული მქონდა. ფონ-რუჰპი მამი-ჩემის ძველი ამხანაგი იყო.

ბევრჯერ უტარებია დრო ჩვენსა; ბევრჯერ უნადირია მამა-ჩემთან ერთად საჩვენოში და ბევრი ირემი უხოცია. ამ კაცის სახლში ძალიან კარგა ვგრძნობდი თავსა. ისე მექცეოდა, როგორც დიდსა. სადილს უკან მუდამ სიგარას მთავაზობდა. მოსწიე, ძალა შეგწევსო, მე აყოლა ხოლმე, მამაშენიც როგორც კაი მატარებელი ისე ახოლებდაო.

მეც თავი მომქონდა.

ფონ-რუპპის ცოლი მეტის-მეტი ტყვენია ადამიანი რამ იყო. ისე არ დაილაპარაკებდა, რომ ტუჩები არ მოენაოკებინა სიტყვის სწორეთ გამოსათქმელად. სულ მუდამ შენიშენას მაძლივდა. ფრჩხილებს ნუ იქამო, მეუბნებოდა, ყური უგდე შენ თავსა, როგორ ამბობ სიტყვასაო.

ფონ-რუპპებს ერთი ქალი ჰყავდათ. ძალიან ლამაზი იყო. თოთხმეტი წლისა ვიყავი და სრულებით ყურადღებას არ მაქცევდა. სულ ცეკვაზე, კონცერტებზე და ღვთაებრივ მომღერალზე ლაპარაკობდა. ხანდისხან იმის ამბავსაც მოჰყვებოდა ხოლმე, თუ რა ხდებოდა სამხედრო სასწავლებელში. იუნკრებისაგან გაგონილი ჰქონდა. ეს ვაჭბატონები ხშირად დაიარებოდნენ ფონ-რუპპის ოჯახში. დრო ისე არ გაივლიდა რომ ფონ-რუპპის სახლის კიბეზე ხმალს არ დაერახუნებინა.

რა კარგი იქნება, რომ ოფიცერი ვიყო-მეთქი, ვამბობდი ხშირად ჩემ გულში. ოფიცერს, იმედი მქონდა, მომიწონებდა. ესლა კი ისე მექცეოდა მამი-ჩემის ამხანაგის ქალი, როგორც დამთხვეულ ბაღსა; მოურიდებლად დაშინოდა, მეტადრე მაშინ როცა იმისი მამის სიგარას ვეწეოდი.

ეს ძალიან მწყინდა და ჩემ სიყვარულს გულში ვიკლავდი, თან ვფიქრობდი: გავიზრდები, ოფიცერი გავხდები, ომიდან დავბრუნდები და იქნება მაშინ გაუხარდეს ჩემი დანახვა-მეთქი.

მართალია სიყვარული უსიამოვნებას მაყენებდა, მაგრამ მაინც კარგი იყო ჩემთვის ფონ-რუპპებთან დროს გატარება: ძალიან მახარებდა, კვირაც, სადილიც და სიგარაც.

ბ-ნი ფონ-რუპპი კარგა იცნობდა ჩვენს რექტორს და ხშირად ეუბნებოდა ჩემზე, დიდი ხალისით ვიღებ ჩემ ოჯახში და თავის მამისავით კარგი მონადირეც გამოვაო. რექტორი, ეტყობოდა, ჩემი ქებისთვის თავს არ იცხელებდა, რადგან ბ-ნი ფონ-რუპპი ხშირად მეუბნებოდა: ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი, ვინ იცის რას სჩადიხარ და რას არა იქა! დიდი არამზადა რამ უნდა იყო, რომ მას-

წავლებლები ასე გიჩივიან. არ შეიძლება, რომ ცოტა უკლოვო.

უცბად რალაცა მოხდა.

მუდამ დილის რვა საათზე, როცა კი სკოლაში გავსწევდი ხოლმე, ჩვენი სახლის მოურავის ქალი იმ დროს გამოდიოდა სახლიდან ინსტიტუტში წასასვლელად.

ძალიან ლამაზი იყო, ორი დიდი წითელ ლენტებიანი ნაწნავი ჰქონდა, გულ-მკერდიც ეტყობოდა. ჩემი ამხანაგი რაატელი სულ იმას მეუბნებოდა, მაგ ქალს მომავალი კარგი აქვს, არა უჭირს რაო.

ჯერ ვერ ვუბიდავდი თავის დაკვრას, ვერიდებოდი, შემდეგ კი გავბედე და ქალი გავაწითლე. ერთხელ გვიან გამოვედი სახლიდან და თვალი მოვკარ, რომ მოურავის ქალი იქვე ახლოს იდგა და წიგნების სამკაზმელოში იტყობოდა. როცა დამინახა აღერსიანად გაიღიმა. ეს ამბავი რამდენჯერმე გამეორდა. მივხვდი, ჩემ გამოსვლას ელოდა ხოლმე. გადავსწყვიტე, დავლაპარაკებულყავ.

მაგრამ ვერ მოვახერხე. საშინელი გულისცემა ამიტყდა. ერთხელ სულ მიუახლოვდი კიდეც, მაგრამ ისეთი ქშენა ამივარდა, რომ თავიც ძლივს დაეუკარი. ძალიან დამცხა და ხმა ვერ გავეცი.

რაატელმა ბევრი იცინა ჩემზე. ასე მითხრა: ქალთან დაახლოვებისთანა ადვილი რადაა, დღეში სამს დაველაპარაკები, რომ მოვიწოდო, — მაგრამ არა ღირან იმათა, მეტის-მეტი სულელები არიანო. ბევრი ვიფიქრე, ბევრი, და ბოლოს, როცა ქალს ისევ დავშორდი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ მართლა ადვილი იყო. ვინა ბრძანდებოდა ახლა, მოურავის ქალი არ იყო სხვა ხომ არა, მე კი გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე ვიყავი.

მაგრამ საკმარისი იყო დამენახა ისა და ყველაფერი უცნაურად ტრიალდებოდა. საქმე წინ არ მიდიოდა. რაკი ვერა გავაწყე არა, ერთი კაი აზრი მომივიდა თავში. წიგნი მივწერე: მიყვარხარ-მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ მეშინიან, შეურაცხყოფად არ მიიღო, რომ დაგელაპარაკო და სიყვარულში გამოგიტყდე-მეთქი. ამასთანავე ვსწერდი, თუ თანამიგრძნობდა, ცხვირსახოცი მიეღო პირზე და ისე ენიშნებინა.

წერილი ცეხარის De bello Gallico-ში ჩავდე და გადავწყვიტე მეორე დილით გადამეცა, როცა ხელმეორედ ვნახავდი.

მაგრამ ეს უფრო მეძნელა.

პირველ დღეს არც კი მიცდია; მეორე დღეს

წერილი მართალია ხელში დავიჭირე, მაგრამ, როცა დავინახე სატრფო, ფაცხა-ფუცხით ჯიბეში ჩავიდე.

რაატელმა მიჩნია, მიდი პირდაპირ მიეცი და ჰკითხე, ხომ არ დაგიკარგავს-თქო. გადავწყვიტე ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ მეორე დღეს ახლა ამხანაგ ქალთან მიდიოდა და კიდევ ვერაფერი მოვახერხე-რა.

წერილი ისევ ჩემ ცეხარში ჩავდე.

რა საცოდავი ვარ? ვსთქვი გულში.

სიტყვა დავსდე, დამესაჯა ჩემი თავი სილაჩრისათვის, ჯიბრზე გამოვლამაპარაკებულიყავ, ყველაფერი მეთქვა და წერილიც გადამეცა.

რაატელმა მითხრა: ეხლა კი პირდაპირ მოვალე ხარ ეგ საქმე შეასრულო, თორემ კაცობა აღარ გეთქმისო. მეც კვერი დავუკარი და გადავწყვიტე ამესრულებინა, გინდაც რომ რამე მომსელოდა.

უცხად გამიძახეს, მეუბნებიან: განაგრძე თარგმნაო. მაგრამ მე ამ დროს მარიაზე ვფიქრობდი და ისიც კი არ ვიცოდი რომელ თავსა თარგმნიდნენ. სისხლი თავში ამივარდა. მასწავლებელი მუდამ ექვის თვალით მიყურებდა, მაშინვე მიხვდა, რომ ჩემ თავს რაღაც ამბავი იყო და წამოვიდა ჩემსკენ.

ფაცხა-ფუცხით გადავშალ-გადმოვშალე წიგნის ფურცლები და მეზობელ ამხანაგს ფეხი დავადგი.

— სად გაჩერდით? დასწყევლოს ეშმაკი ღმერთმა!..

მაგრამ ეს ბრიყვი ისე ჩუმად მეუბნებოდა, რომ ვერაფერი გავიგე, მასწავლებელი კი უკვე ჩემ სკამს დასტრიალებდა. უცხად ცეხარიდან ჩემი წერილი გამოვარდა და ძირს დაეცა. ვარდისფერ ქალღმერთზე იყო დაწერილი და სურნელოვანი მტვერი ჰქონდა მოყრილი. ფეხი მინდოდა დამედგა, მაგრამ გვიანდა იყო. მასწავლებელმა დაიხარა და აიღო.

ჯერ მე მომაჩერდა და ისე გადმოკარკლა თვალები, რომ კაცს მაკრატლით შეეძლო ამოეჭრა; მერე წერილს დახედა, დასუნა და ნელ-ნელა გამოიღო ბუდიდან. უფრო დაჟინებით დამიწყო ცქერა. ძალიან უხაროდა, რომ რაღაშიაც დამიჭირა.

ჯერ ხმა მალლა დაიწყო კითხვა (უნდოდა რომ მთელ კლასს გაეგონა).

„ჩემო საყვარელო! კარგა ხანია მინდოდა შენთან ახლოს მოსვლა, მაგრამ ვერა ვბედავდი, მეგონა, შეურაცხყოფას მოგაყენებდი ამითი“...

როცა იმ ადგილამდის მივიდა, საცა ცხვირსა-

ხოცი იყო ნახსენები, ცხვირში წაიჯუჯულუნა, ისე რომ სხვამ ვერაფერი გაიგო.

მერე გაიქნია თავი და მძიმედ მითხრა: წადი სახლში, შე უბედურო შენა! მერე გაიგებ ყველაფერსაო.

ისე ვბრაზობდი ჩემ თავზე, ჩემ სივირზე რომ მზად ვიყავი წიგნები კედელზე მიმენარცხებინა, მაგრამ ბოლოს მაინც გონს მოვედი. ხომ ისეთი არა მომხდარა-მეთქი, ვსთქვი ჩემთვის, წერილში ცული არაფერი არის-რა მხოლოდ შეყვარებული ვარ და ამასთან ხომ მასწავლებელს საქმე არაფერი აქვს-მეთქი.

მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა.

მეორე დღეს რექტორთან დამიძახეს. ხელში თავისი დიდი დავთარი ეჭირა და ყველაფერსა სწერდა რასაც კი ვეუბნებოდი.

— ვისთან არის წერილი?—მკითხა რექტორმა.

— არავისთან, ისეა ხუმრობით დაწერილი. — ვუთხარი პასუხად.

— ეგ მტკნარი სიცრუეა. შენ არამც თუ სადაცელი ბავშვი, ლაჩარიც ყოფილხარ. — მითხრა ჩემდა გასაღიზიანებლად რექტორმა.

წერილში ცული არაფერია. პატიოსანი ქალია ნახსენები-მეთქი. — ვუთხარი გაცეცხლებულმა.

რექტორმა გაიცინა და თავისი ორი ყვითელი ღრჯოლი გამოიჩინა. ჩემი თავი გავეცი. რექტორმა ქალის სახელი მკითხა. გავკერპდი. ჩემთვის სულ ერთი იყო ეხლა კი ყველაფერი.

— არა, — ვუთხარი რექტორს, — რიგიანი აღამიანი თავის დღეში არავის გასცემს და არც მე გეტყვით სახელსა.

რექტორმა გეზად გადმომხედა დაკეცა თავისი დავთარი და სთქვა:

— შენ ჩვენი ბალის წამხდარი მცენარე ხარ. უნდა ამოგგლიჯოთ. სიცრუე არაფერს გიშველის. ძალიან კარგა ვიცი ვისთანაც არის ეგ მიწერილი. დაიკარგე აქედან!

დავბრუნდი კლასში.

შუადღის უკან პედაგოგიური საბჭო შეიკრიბა. რექტორი და საღმრთო-სჯულის მასწავლებელი ჩემ გამორიცხვას ცდილობდნენ თურმე (ზედამხედველმა მითხრა) მაგრამ სხვები გამომესარჩლენ და მარტო რვა საათის კარცერი გადამიწყვიტეს.

ეს აინუნშიაც არ მომდიოდა, რომ სხვა რა არ დამტეხოდა თავსა.

რამდენიმე დღის უკან დედისაგან წერილი

ქალს, თუ არ მთავარს, არავის მიათხოვებდა, — არ იმდა-
ბლებდა თავს და ვიდაც ღარიბს, მჭადი-ჭამია ქართლელს
მომივიდა. შიგ ბნ ფონ-რუპპის წერილი იყო: ძა-
ლიან ვსწუხვარ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენ
შვილს ჩემ სახლში აღარ მივიღებო, სწერდა დედა-
ჩემს ფონ-რუპპი, რექტორმა მაცნობა, რომ თქვენ
შვილსა ჩემი ქალისთვის სიყვარულის წერილი მიუ-
წერია. მართალია დიდ რამედ არ მიმაჩნია მაგრამ
მაინც ჩემ ქალს ცოტა არ იყოს ამითი სახელი
უტყდებოა. დედაც მწერდა: შვილო არ ვიცი რა
უნდა გამოვიდეს შენგანაო.

ბრაზები მომგვარა ყველა ამ სისაძაგლემ. ჯერ
ვიტირე, მერე მინდოდა რექტორთან წავსულიყავ
და პასუხი მომეთხოვა, მაგრამ გადავიფიქრე და ბნ
ფონ-რუპპთან წავედი.

მოახლემ მითხრა, სახლში არავინ არისო, მაგ-
რამ ეს მართალი არ იყო. ქუჩაში ფონ-რუპპის
ცოლის ხმა გავიგონე. როცა ერთხელ კიდევ მივე-
დი ბნ ფონ-რუპპთან, აღარ დამემალა, სახლში და-
მიხვდა. ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, მაგრამ
როცა მე გავათავე ლაპარაკი, ფონ-რუპპმა მოკუტა
მარცხენა თვალი და მითხრა:

— შენ სწორეთ რომ თავადებული ოინბაზი
ხარ. მე კი არაფერი, მაგრამ ჩემი ცოლიო...

ბ-ნმა ფონ-რუპპმა სიგარა მომცა და მითხრა:
ახლა კი დამშვიდებული შეგიძლიან წახვიდე სახლ-
შიო.

არც ერთი სიტყვა არ დაიჯერა ჩემი. სახლში
აღარ მიწვევდა... აბა, რექტორი როგორ ეტყოდა
ტყუილსა. ყველასა ჰგონია მოწაფე სტყუისო.

სიტყვა მივეცი ჩემ თავსა, რომ უსათუოდ მიე-
ბეჟავდი რექტორსა, როცა კი უნივერსიტეტში შე-
ვიდოდი.

კარგა ხანს დავდიოდი ყურებ ჩამოყრილი.
ერთხელ ფრეგლეან ფონ-რუპპი შემხვდა. ამხანა-
გებთან ერთად მოდიოდა. ქალებმა ერთმანეთს წაპ-
კრეს იდაყვები, რამდენჯერმე მოიხედეს ჩემსკენ,
სულ იცინოდნენ.

ერთი შევიდე უნივერსიტეტში და გავხდე კორ-
პორანტი, ხომ მოინდომებს ჩემთან ერთად ცეკვას,
მთელი საღამო თვალებს ვაცქეტინებ.

ირ. სონლულაშვილი.

თავადიშვილის მეურნეობა ამ ასის წლის წინად 1)

1808 წელს, სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის
მთავრობამ იმერეთის მეფეს სოლომონ II-ს ზურაბ წე-
რეთელი და მისი სიძე დავით თარხნიშვილი შეუხინა,
ზეტერბურგში გავსაყენილი დავით ბატონიშვილი, სრუ-
ლიად საქართველოს და სხვათა შექმნილ დავებს
სწერს თავის ეოფა ცხოვრებაზე შემოსესებულს მიშკარ-
ბასი იოსებ ბებუთაშვილს:

„დოხტური მკაეს სელმწიფისაგან მოხენილი, ზირ-
ველი ექიმი. სტატეკის სოვეტნიკი და კავალერი მილე-
რი. ვინც თურმე რასმე ამბობს, ტუეიან. დვთის მოწყა-
ლებით, ეს დოვლათი, ეს წყალობა, ეს ზატევი მაშას არ უნახავს
ღ მახას. ეს კარი და ეს სხლი: მაშაქემს ფარდავი არ ეგო
და რგასის თუმნისა მარტო შებელი ერთიანად ვიუიდე
მე... ჩემს სოფელში თურაჯი, გნოლი, და შაგი სოხობი
და კურდღელი ბუერია. (თუ მიშოვი ორ შწევარსა და
ორ შექებასს, მე კი წამოვყუანინებ.) ვარაარხისაგან აქ
უფრო ბუერი თურაჯია, აქ რიაფნიკს ეძახიან. შეიდასი
ნოხობი, ექქსასი გნოლი და რგასი თურაჯი, ხარჯს გარ-
და, ძეკვს ჩემს უემს. ხუმრობა არ გეგონოს, ურმებით
მომივა სოლმე, მაგრამ ქორის მოტყევის გემო არა აქეს“.
(საქართვ. სიძე. ტ. III. გვ. 116—117).

ასეთი ძალა ჰქონია თურმე კეთილს ცხოვრებას ბა-
გრატონთა გვარის ნატამალზე, რომ თავისი დაკარგული
მეფობაც დაევიწყა. და თუ საქართველოს ქირისუფალი
არა სტიროდა, დავით თარხნიშვილს თავში საცემი რა
ჰქონდა.

ამიტომაც დავით თარხნიშვილისა და მრავლის მი-
სის მსგავსის თანამედროის საქციელი არ იყო იმ დროს
დასაძრახი და დალატად არ მიაჩნდათ. ზნეობის დაცემის
დროს, როცა ზოლიტიკური და საზოგადოებრივი იდე-
ალები დაეწიებულა, იდეისათვის თავისდადებსა გმირო-
ბად როდი და სოვლიან. მაგისთანა ღვაწლს ან უგუნუ-
რებას მიაწერენ, ან მიხეცად რომელსაზე ანგარიშს მოუ-
ქებინან.

რუსის მთავრობის ერთგულებით დავით თარხნი-
შვილმა ეგვლაფერი მოიგო. სახელისა, ჭამაგირსა და
ჯილდოს გარდა, ოჯახის ბედნიერებაც იმავე მთავრობის
წყალობით იშოვა. ორმოცს წელს გადასული დავით თა-
ხოვდა ცოლად საღთსუცესის ზურაბ წერეთლის ქალს
მკერინეს. მაგრამ ამავე ეუოდადი, რომელიც თავის

წიგნი იმერეთის მეფის...

1) იხ. „კლდე“ № 20.

თავადიშვილს ქალს არ აძლევდა. *) ბოლოს, როგორც დავითის შვილის შვილმა ვასილ თარხნიშვილმა მაიმბო, ამ საქმეში ჩარეულა რუსის შთავრთბა და ზურაბ წერეთელს მიადგომინა დავითისათვის თავისი ქალი მკარნე. მზითვად, გარდა მრავლის ძვირფასის ნივთისა და სხვა ქონებისა, ცოლმა მიუეგანა დავითს ოცი სული მოხსნე და მსახური.

დავილ თარხნიშვილს ჭეჟვდა ოთხი ქალი და ოთხი ვაჟი. ოთხივე ვაჟი სახელმწიფო ხარჯით გამოიზარდნენ კორპუსს და გიმნაზიაში. უფროსმა ვაჟმა კონსტანტინემ თავისი სინტონხლე სამსახურს შეაღია და ბოლოს ბაქოს გუბერნატორად იყო. მეორე—ალექსანდრე სამსახურს არ ეწეობოდა და, მამასავით მხნე, მომკები და მომკინზე, მიუწუნებდა, სხსლს და მამულს უვლიდა. მესამემ — იოსებმა გაითქვა სახელი თავისის გმირობით ეარსის ადების დროს 1855 წელს და ცნობილი იყო, როგორც კარგი მხედართმთავარი. მეოთხე შვილი დავით თარხნიშვილისა, იღია იყო ზაქათაღის მხარის უფროსად.

ახლა რაკი დავით თარხნიშვილის ვანათბა შევიტყუთ, ვნახოთ მისი მოსაგონებელი წერბილი მედიატორებთან შეტანილი.

იმ წერილს თავში აწერია მისის შვილს ალექსანდრეს შემდეგი შენიშვნა:

„მამა ჩემი დავით ზახას ძე და თსვის ძემები, რომ იურებოდნენ, ეს ქაღალდი მედიატორებთან შეიტანა. მაგრამ მამინ გაურა რომელსამე მიზეზებით ვერ დაბოლოვეს, და მამა ჩემი და იმის ძემები სულ გარდიცვალნენ, და მამულები და ემები დარჩნენ მე და ჩემს ბიძაშვილებში გაუურელნი. და ჩვენ გაუვაფით ჩუნთ-ს (1859) უმედიატოროთ, შინაურულათ და დღესაც იმ გაუფოთთ გვიტარავს.—თავ. ალექსანდრე დავითის ძე თარხან-მოურავი. ჩუგ-ს (1866) იანვრის იზ-ს დღეს დავწერე ესე ზემო წარწერილი.“

ამ წარწერას მოსდევს თვით დავით თარხნიშვილის შემორანდუმი. რომელიც აქ ამოკრებით იბეჭდება.

„ჩემი დეაწლი და ჭირნახულობა ამს ქვევით დაიწერება, რომელიც მახსოვს. ოთხმა თაობამ განვლო რომ ჩვენს მამულში ამისთანა განკარგულება და ბედნიერება არავის უნახავს, მისთვის რომ მამის ჩემის მამა დავით ემაწვლილი გარდაცვალებულა. იმისი შვილი ზაად არ უფილას მომჭირნე ოჯახისა. მამა ჩემი დავით, თუმცა მატრიცემული და და მდიდარი შეიქმნა სვანთქრის წყალობით, მაგრამ ისიც იმერეთის მეფესთან აღსრულდა. მამა ჩემი ზახა შეფე ირაკლის კარის-კაცობაში აღსრულ-

და და ვერ მოიტკლა ემის და მამულისათვის. ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა მამისა ჩვენისა დავითის შვილი იმანი. უფროსი სოლომონ თვრამეტის წლის და რვა თვისა, მე — თუთხმეტისა და შვიდი თვისა. ზაქარია და გიგო ხომ გადაიცვალნენ და დომიტი იყო ცხრა წლის, ლუარსაბ — შვიდისა და ბესარიონ — სამის წლისა. და ამავე რიცხვს ქკს უფთ-ს (1781 წ.) გიორგობისთვეში გამომისტუმრეს ემისა და მამულში მშობელმან დედამან ჩემმან და უფროსმა ძმამან. თუმცა მეზარებოდა მოშორება მშობლისა და ტვირთი ესე ვითარისა მოქმედებისა, რომელისაც გამოუცდეღ და უცნობელ ვიყავ, კარნა მორჩილებითა ვატვირთე და დავსომე უოველი ემაწვილობითა განცხრომას და თავისუფლება. ვისილე ემანი ჩვენი ნაკლულეგანებას შინა რომელთაც არა ჭქონდათ ურუმი, არცა გუთანო, არცა ხენს და თესვა, და არა იყო ჩვეთვის თავის მისადრევი ადგილი, არცა სახლი, არცა ბოსელი, არცა საბძელი და კალო და არავითარი მუშაობა. რომელმაცა დავიწვე უოკლისა საქმისა წარმოება ესე ვითარად, რომელ გამოდამ მხარში აღარ შეედრებოდა ერთი სახლი ჩვენს სახლს ხვითა და თესვით, ზურთ, ღვინით და ესე ვითარითა.

ქ. გავაკეთე სახლი, ბოსელი კალო, საბძელი. 1)

ქ. გავმართე ხენს და თესვა, რომელითაც გამოფხარდე წვრილნი ძმანი.

ქ. ზვარს ჩვენსა გამოვიდოდა მამის ჩემის დროს ოცი კოკა, და მე ასე გავაკეთე, რომ სამსი კოკაც და უმეტესიცა გამოვიდა. 2)

ქ. გავაკეთე ზვრის გვერდზე ხეივანი, ხილით და ვახით შემოაბილი ბაღი, რომ გამოდამ მხარში უკეთესი არ იყო, რომლისაც ხილი ქაღაქილამ და სხვას ადგილებილამ მივიტანე. ამასვე მოვიტანე დიდის შრომით ურთხლის კრხსა, რომელიც საუკუნეს აღასრულებს. 3)

ქ. ზვარში ორი ქვევრის მეტი არ იდგა,—თერთმეტი ქვევრი არის. ზოგი ვიყიდე, ზოგი ნასოფლარებიდან მოვიტანე, ზოგი ნასხსლარებიდან.

ქ. ერთი მატარა მარანი, სდაც სახლი გავაკეთე იქ გავმართე წვრილის ქვევრებით. სულ ვიყიდე.

ქ. ჩავდგი საკირე დიდათ ვრცელი, ზვრის სიხლოვეს, მარნის გასაკეთებლად. დავიწვე მეორე სწახსელი და ამოვიეგანე. და მე ხომ ვეღარ მოვიცადე, ჩემს ძმებმა ის ვეღარ გააკეთეს და იმისი მრავალი კირი უქმათ გაატარეს, თუმცა წისქვილზე კი მოიხმარა-

*) ამ დროს, 1807 წ., დავითს და მისს გაუყრელს ოთხს ძმას საერთოდ ჰყავდათ 150 კომლი ემა. (ნახეთ დავითის ფორმულიარი.)

1) სოფელ ნოსტეს, დიდ მოურავის გიორგი სააკაძის კომშთან ეს ნასახლარი ახლაცა ჩანს.

2) რვა დღის ბალია.

3) აქამდის დარჩენილა ზოგიერთი მაშინდელი სარი.

ქ. მივეც უმთა ჩვენთა მშვიდობა და ვიმეცადინე შეკრება გლეხთა და გამრავლება.

ქ. ახალქალაქს დამხვდნენ უმანი ჩვენნი რიცხვით თექვსმეტი, რომელთაც სახელდობრ საკუთარი სია დაიწერება და წარმოდგების ამა წერილთან.

ვიმეცადინე უმების გამრავლება ესე ვითარად როგორც ამას ქვევით თვითთუფლად დაიწერება.

ა. ქ. დათუა სუციაშვილი ჩვენის უმის ტერი იყო, და არც დაიჭირა მამის ჩემის დროს მამული და არც უნდოდა დამკვიდრება ჩვენს მამულში. გარნა ჩემის კეთილ მოქმედებით და ჭკუშარიტის ალერსით, შემდგომად მამის ჩემისა, დავამკვიდრე, რომელიც მარადის მუვედრის, რადგან დღეს არის დიდს სამსახურში და სარგებლობენ ჩვენი ძმები, და ეკითხოს მას გლეხს ვითარება ესე.

ბ. ქ. გამოვიყვანე მედვრეკისი დამ ბარნაშვილები. თუმიტა ჩვენს უმად ირიცხებოდნენ, ივინი იქ თავისის ნასიდიით აზირებდნენ შემევიდრეობას, რომელთაცანაც იქილამ არავითარი სამსახური არა გვექნებოდა რა. და აწ არიან სამ კომლად ფრად მისამსახურენი, ბირველის ხარჯის გაღებულნი. და რაც ჩემი ძმებისათვის უმსახურნათ თეთრით, თვინიერ მუშაობისა, და რა მწუხარება მოსდგომიათ, თვით იმთ ეკითხოს.

ბ. ქ. ვიუიდე გოდერძაშვილი ნინია და იმისი ძმები ოთარ გაბაშვილისაგან. დავამკვიდრე ახალქალაქს, არიან დღეს ორ კომლად. და ჭკითხეთ მათ, გოდერძაშვილებს, თუ ვითარის მოქმედებით შევითვისე და აწ ვითარსა მდგომარეობას და შეწუხებაში არიან. *)

ქ. ეს ხსენებულნი გლეხნი: მოყვანიო, სიდივით, თვით თავით თვისით მოსვლით და დასახლებით, — სულ მე ვარ მიზეზი ამათის შემოყვანისა, მისთვის რომელ როდეს სცნეს გლეხთა ჩემი ტკბილი ბატონ-უმობა და კანონიერი მოვლა, მაშინ უფავლათ ისურვეს ჩვენს საფარველს ქვეშ შემოსვლა, ზოგი ემობით და ზოგი მოკედლებით როგორც ერთს ჟამდა, ბეცია თარხნის დროს. თხუთმეტმა კომლმან ჩვენის სახლის კაცების ეულებმან შობის დღეს მე მომიტანეს ძღვენი და სულ ჩემს ეულად გამოვიდნენ, — რომელიც იგულისხმების სიყვარული უმისა და კანონიერი მოვლა, ვითარცა ინტრიდიან უმანი სხვისანი ემობას ჩვენსასა. და აწ მოკითხულ იქმანს ვითარი მწუხარება მისცემიათ რომელიც მაგლებენ ვაღს ქვეშე და ამბობენ, რომ მე ვარ ნამდვილ ამათის დასახლების მიზეზი. და ამ წყომოსხენებულთ გლეხთაგან ისარგებლეს მანემდი იუგნენ და ამთგანი ზოგნი დაქარგეს,

ზოგნი ამოსწედნენ და მათის ბეთაღმანით ისარგებლეს.

კ. ქ. გარდა ამისა მოვიყვანეს 27 კომლნი სომეხნი სოლომონ და დიმიტრიმ ჩემმა ძმებმა. და ამათი დასახლება ან ჰურით გამოკვება შამილობის ჟამს, სახლების აშენებით ანუ სხვით, ან გენახები როგორ გაფაკეთებინე, თვით ჩემი ტუხნით მოუხან და გენახები ავაშენებინე, რომელთაცანაც იღებენ ორმოც და ცამეტს კოკას კულუხს. ამასთანავე გაფართვინე ხენა და დავამკვიდრე, ვითარცა შეესაბამება.

ქ. ამ სომეხებმა ინიფლეს კინაზ ტიცინათვის მმართველობის დროს. და გორის მახრის სულში როგორ დაბოლოვეს, ამის შრომაში ჩემს მეტი არავინ უოფილა. ამ კაცებისათვის მე მიცემისა და ხატრონობის მეტი არა მიქნია რა, და სხვათა შეწუხებისა და წართმევის მეტი არა უქნია რა.

ქ. შემდგომად ჩყა (1821) წელს გვიჩიფლეს და ვინც როგორ გავისარჯუნით ცხადად სახილველი არის.

ც. ქ. ვიუიდე ნახევარი ხახანაშვილის მამული ზურაბ თარხნიშვილისაგან. *) არ ვიცი, რვა თუმანი შეუსრულე, თუ ხუთი, სწორეთ არ მახსოვს.

კ. ქ. ვიუიდე გაბრეულ დეკანოზის ძმისწულისაგან გენახი რომელიც აწ ჩიტუს თაქაშვილს უჭირავს და ზოგი იმისი ნაჭერი ამიღბარაშვილის გენახს მოუმატეთ. და ამაში ვისი საკუთარი თუთარი მიეცა სხვას სუსხაში ეწერება.

ც. ქ. ვიუიდე ახაშენს რაც ჯორანთ წილი მამული იყო. **) მივეც მე რვა თუმანი და ათათაც მკონია შეუსრულე; და ჩემმა ძმამ დიმიტრიმ და სოლომანმაც მისცა; და თუ სხვათაც მისცეს, არ ვიცი.

ბ. ქ. ვიუიდე გოგია ბატონაშვილისაგან ზვრის ბოგირს აქეთ ბატონკლანთ გენახის თავში რაც მიწა ძვეს, ***) სადაც ჩვენი კალო-სახბელი იყო გარეიულაზე. მივეც ამაში ორი თუმანი.

გ. ქ. ხატა ჯორაშვილს მივეც თექმის წისქვილსა და ბაღში ათი ოქრო. და რაც ჩემს ძმებს მიუცია, ის თითონ იცან.

ბ. ქ. იოსებ ბეჟანიშვილის მიწა დავიგირავე ხანდაც ერთ თუმნად. თამასუქი არის. და მერე სულ თაკისი მამული მოგვეცა. თორმეტი თუმანი შეუსრულე, ზოგი მე და ზოგი შეითარმა, თუ ჩემს ძმებსაც მიუციათ რამე, ის თითონ ეტოღინებათ. რაც მასუკან მიმიცია იოსებისათვის, ის სხვა არის.

გ. ქ. წინარეს რიკაძის მამული, თვალადცე ****)

*) 22 დლიური.
**) 80 დლიური.
***) 4 თუ 5 დლიური.
****) სოფელია.

*) ამის შემდეგ ჩამოთვლილია კიდევ 55 კომლი გლეხნი, რომელიც დავით თარხნიშვილს შეუძენია და მოუყვანია სხვა და სხვა ადგილიდან.

საწისქვილო, კაკთისხეკს საწისქვილო, — ესენი ვიუიდე. ამაში მივეც თხი ძრახა, შეითარისაგან მოეყვანილი, და სხვა თეთრი შე მივეც. კარგად არ მახსოვს და ის თამაშად დედი ისეუ არის, ამას ეტადინება, შე ექვს თუ მანს ვიტყვი და ვგონებ თორმეტიც იყო.

გ. ქ. მაშუკასაგან კოდის ზოდებუნი ვიუიდეო. ჩემის დეაწლით მოეყვანილი ჰური მივეც, თუშტა ეს საოჯახოს ხარჯიდან ითქმის. ჰური ძვირა იყო, და ვგონებ ათიოდ ცხვარც მივეცით, სამ თუშინადინ ვიანგარაშეთ.

რ. ქ. გავაკეთე შეეუ გიორგის დროს თელად გორის სამღებრო. იმ რინხვიდან ვიდრე ათასრუკს-ოცდაერთს წელადინ შეუბობდა. წელიწადში ხან ათ თუშინათ, ხან რვათ, ხან შეიდათ და ხან ხუთად, — ხუთად უფრო მცირე ხანს, — და ვგონებ ისარგებლა ჩემს სახლმა ვიდრე ას თუშინადე. ამაზედ მიხაფლა დახარევის მმართველობაში ცარეკნა სოფიამ; და ოცი წელიწადი ამას საქმეზე მოუსვენებულ ვიუე, რთგორც წერთ, ისე ღერბის ქადადით, და ქადაქას და გორის სასამართლოში სიარულით, შრომათ და ხარჯით. და რადგან შე შრომასა და სასამართლოში ვილაღებოდი და ჩემის საკუთარის ხარჯით ვსცხვარობოდი და სამღებროს ძმანი ხმარობდნენ, მართებოთ მაგერი მომცენ ან ხარჯი, ან იმ სამღებროს გამოსავლის წილი.

ალ. სარაჯიშვილი.

(დასასრული იქნება).

გონიერი ნაბიჯი

თბილისის ქალაქის გამგეობის ერთადერთ ქართველ წევრს ბ-ნ გ. დ. ჟურულს თანამდებობაზედ უარი განაცხადებია.

კატეგორიული უარი.

„შე ვამოწმებ, რომ მართლაც თავს ვანებებ სამსახურსა ქალაქის თვითმართველობაში. მიზეზს ჩემი წასვლისას ქალაქის გამგეობა საბჭოს მოახსენებსო“.

მეტად თვალსაჩინო ფაქტია ქართველებისათვის ბ. ჟურულის ასეთი გარდაწყვეტილების მიზეზი.

მიზეზი, რომელიც დღეს კიდევ გამოქვეყნდა და ცხად ჰყო, რომ ქართველებს სომხებთან საერთო არა აქვთ-რა და ზოგიერთის სომეხთა წრეების ფიცი თავის ძმობაში და კეთილ მეზობლობაში

ქართველობისადმი უბრალო ლათაიები ყოფილა, რომლითაც თვალს უხვევდნენ ქართველ ზომიერთა წრეს.

ამ წრეს ეკუთვნოდა თვით გ. დ. ჟურული, რომელიც დღეს ამ „ძმებმა და მეზობლებმა“ აიძულეს ქალაქის გამგეობის წევრობაზედ ხელი აეღო, მაგრამ მაინც რამ აიძულა ბ. ჟურული ამ საქციელზე?

ბნელმა, ქამურმა და შოვინისტურმა პოლიტიკამ სომეხთა ბანაკისა.

ფაქტები ამის შესამოწმებლად მრავალია და ზოგი ისეთი თვალშისაცემიც, რომ არ შეიძლება რამდენიმე მათგანი არ მოვიხსენოთ.

ამას წინად ქალაქმა მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება გამართა სალომბარდო საქმეების მცოდნე ცნობილ ბ. გამყრელიძესთან (ა. გამყრელიძე ცნობილია მთელ რუსეთში, როგორც კარგი მცოდნე სალომბარდო საქმისა), რომელიც ამჟამად ბათომში ქალაქის ლომბარდს განაგებს. სხვათაშორის იწვევდნენ თბილისში ამ საქმის მოსაწყობად და თბილისის ლომბარდის გამგებლობას ჰპირდებოდნენ. ამისათვის დააწერინეს ახალი სალომბარდო წესდება, რომელიც ქალაქის საბჭომ ერთხმად მიიღო; ამუშავეს, საქმე ბლომად აკეთებინეს და როდესაც ლომბარდის ჩაბარებაზედ მიდგა საქმე, სამსახურიდან გამოგდებული ვილაცა კაფიევი დანიშნეს. ისე, უაპელაციოდ!..

ის კი არ იყო მათთვის საჭირო, ვარგოდა თუ არა კაფიევი ამ სერიოზულ საქმისათვის... არა, ხატისოვის ჯგუფისათვის საკმარისი მარტო მისი ეროვნება იყო.

და ცნობილი მოღვაწე ქართველი გამოგდებული სომეხს ანაცვალეს.

ამნაირივე მაგალითი მოხდა ალექსანდრეს საავადმყოფოს ზედამხედველის დანიშვნის დროს. ერთერთ საუკეთესო კანდიდატად ამ თანამდებობაზედ ითვლებოდა ცნობილი სიფილიდოლოგი ექიმი მხეიძე, ბათომის საავადმყოფოს გამგე. მხეიძეს ვითომდა ბევრი სომხები უჭერდნენ მხარსა... მაგრამ, როდესაც არჩევაზედ მიდგა საქმე, დანიშნეს... ყურის და ცხვირის ავადმყოფების ექიმი მოხუცი მაისურიანიცი, ეს სიფილიტიკების განსაკურნად!...

რად აირჩიეს ბებერი მაისურიანიცი?

იმიტომ რომ მაისურიანიცი სომეხი იყო.

უფრო შესაზარი და მართლაც ქამური ფაქტი მოხდა ამ უკანასკნელ დღეებში.

არამიანიცის საავადმყოფოში უფროს ტერაპევ-

ტის ადგილი განთავისუფლდა (რადგანაც ამ ადგილის შპერი ექიმი არუთინიანცი ამავე საავადმყოფოს დირექტორად დანიშნა). ამ ადგილზე წამოაყენეს კანდიდატურა ბაქოს გამოცდილ და ნიჭიერ ექიმის ბ. ლორთქიფანიძისა. ბაქოელებმა, მათ შორის იქაურმა სომხებმაც, ურჩიეს ჩვენს ქალაქს ბ. ლორთქიფანიძე, როგორც თვალსაჩინო ექიმი და ჩინებული მუშაკი. ხატისოვმა შეუთვალა ბ. ლორთქიფანიძეს, თუმცა უკანასკნელი არავის არ სთხოვდა: ექიმი ლორთქიფანიძე ჩვენი ქალაქის სიახაყე და ღიღება იქნებაო...

მიღვა ჯერი-არჩევანზედ.

ქალაქის გამგეობამ უყარა კენჭი ბ. ლორთქიფანიძეს...

აღმოჩნდა... ერთი თეთრი კენჭი დანარჩენი სულ შავები...

თეთრი კენჭი იყო... გ. დ. ჟურულისა! აირჩიეს ექიმი მაქარიანცი.

ამბობენ, ამ ცინიზმით აღელვებული ჟურული წამოდგა და მოახსენა თავის „ძმებს და მეზობლებს“ — კმარა ამდენი სიცრუე, მე თქვენ თანამშრომლად ვეღარ ვიქნები და თავს ვანებებ ქალაქის გამგეობასაო...

მეორე დღეს ხატისოვი ამბობდა: ექიმი მაქარიანცი თბილისის მცხოვრებია და იძულებული ვიყავით მხარი მისთვის დაგვეჭირაო!...

აი ის მიზეზი, უკეთ ვსთქვით მთელი რიგი მიზეზებისა, რომლის წყალობით ერთად-ერთი ქართველების წარმომადგენელი ქ. თბილისის თვითმართველობაში იძულებული გადა უარი განეცხადებინა ამ სომეხ-ფანატიკოსთა ბრბოში მუშაობაზედ.

გონიერად მოქცეულა ბ. ჟურული.

კაი ხანია ბ. ხატისოვის პოლიტიკამ თვალები აუხილა ქართველობას და დაანახვა, რომ სომხის აგრესიული შოვინიზმი შორს მიდის და აი დღეს საზღვარსაც გადავიდა.

და ამიტომ თავის დამამცირებელ მოვლენად ჩავთვლიდით, რომ ამის შემდეგ რაიმე კეთილი კავშირი ვიქონიოთ სომხებთან და მით უმეტეს ერთად ვიმოქმედოთ.

კმარა!

ბ. ჟურულის გონიერ ნაბიჯს—გონიერი შედეგიც მოჰყვება...

ქართველობა საბოლოოდ გამოფხიზლდება და საბოლოოდაც შეითვისებს იმ გონიერ აზრს, რომ სომხის პოლიტიკა საქართველოში ანტიქართულია;*)

*) ეს წერილი უკვე აწეობილი იყო, როცა „სსს. გახ.“-მა დაუფურელები ამავე მოტივანა ჟურული დაურწმუნებიათ, (?) რომ ლორთქიფანიძის მაგიერ მაქარიანცის მოწვევით, ანაუერბა წამხდარა. ჩვენ არა გვჯერა ასეთი ამავე და თვით ჟურულისაგან გელით განმარტებას.

მწყობრი და დარაზმული, რომლის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის დიდი სამზადისია საჭირო.

სამზადისი საერთო და საქმიანი.

ამის შემდეგ ცხადი გახდება პრაქტიკულად რა გზას უნდა დავადგეთ.

ყოველ შემთხვევაში, არჩეული გზა სომხების სამშვიდობოდ არ იქნება მიმართული.

და ამაში ბრალი ქართველობას კი არ დაედება, არამედ დაბრმავებულ სომხის პოლიტიკოსებს.

რადგანაც რასაც სთესავენ, იმას მოიმიან.

ეკალი.

ბოიკოტი!

ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ერი დიდ ხიფათს განიცდის, როგორც შინაური ისე უცხო მტრებისაგან და ჩვენი მიზანია, ავღნიშნოთ ერთი „იდეალური“ გზა, ის გზა რა გზითაც უნდა ვიაროთ მომავალში და საითკენაც მთელი ჩვენი ძალა უნდა იყოს მიმართული, რომ ამ ხიფათს თავი ავაშოროთ.

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა უყურადღებოდ არ უნდა სტოვებდეს ისეთს საკითხს, როგორიც არის ეკონომიური საკითხი. აი სწორედ ამ ეკონომიურ მდგომარეობის გამაფთარებელ საშუალებად ჩვენა ვსთვლით ეკონომიურ ბოიკოტს, ჩვენში გამეფებულ უცხო ვაჭრობა-მრეწველობისადმი. *)

*) ბოიკოტი — გვარა იყო ერთ ინგლისელ კაპიტანისა, რომელიც გრაფ ერნეს მამულს ვეჭვილობდა ირლანდაში. მისმა სიმკაცრემ მიწის მუშებისადმი და მისმა ჩარხულ ფსიხოლოგიამ მცხოვრებთა საზოგადო ფიზიკური გამოიწვია.

ქ. შეიას მცხოვრებლებმა კაცსწეიტეს გაქეკებისთა კაპიტანი ბოიკოტი ადგილობრივ საზოგადოებისაგან; ამავე დროს ეველა იმას ვინც ბოიკოტთან იმუშავებდა, ან რამეს იუიდა მისგან, ან და რამეს მიჰქედა ბოიკოტს, იგოვე ხეადრი ეწედა ე. ი. გაძეკება ადგილობრივ საზოგადოებიდან. მთავრობამ ბოიკოტს ვარი გაუტყავა და ამ უკანასკნელის მიფარველობის ქვეშ ილესტრუიდან ჩამოსულ თრახუისტებმა ჭირახხული მოუგროვეს ბოიკოტს. ბოლთს და ბოლთს ის მანინ იძულებული გახდა საუკუნოდ გამოსთხვევობდა იმ მხარეს. აი აქედან წარმოსდგა სიტუვა ბოიკოტი და ნიშნავს გერძო ზირის, ვგუფის ანუ საზოგადოების მისკავს ზირთებში ჩაყენებას.

ვაჭრობა-მრეწველობის გამავითარებელი პირობები შესამჩნევად შეიცვალა ჩვენს დროში; დღეს ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას დიდი ენერჯია და ჯაფა უნდება, მით უფრო რომ ჩვენში შემოხიზნული უცხო ელემენტი საკმარისად წინასულია ამ მხრივ. მრეწველობის ბრძანებელი დღეს კაპიტალისტია თავის გაუმჯობესებულ საწარმოვო იარაღებით, კაპიტალისტები კი სულ უცხოელებია. თუ სადმე, რომელიმე ერში მეჯღანუაშვილები მრავლდება და თუ ეს მეჯღანუაშვილები გადამთიელებია—სხვა ეროვნების ხალხია, ამ გამრავლების მიზეზი ამ ერის გულუბრყვილობაა. ყოველი უცხოელი და განსაკუთრებით რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ფეხს შემოსდგამდა, მეჯღანუაშვილის ფსიხოლოგიით იყო გაყენებული.

ადამიანი პირდაპირ „ეჩოთ“ ხდებოდა. ის „ვაჭრული ნიჭი“, რითაც ჩვენი მეზობლები ამაყოვნ, ჩვენი გულუბრყვილობით და დაუდევრობით არის გამოწვეული. ეკონომიურად გაძლიერებული შემოხიზნული ელემენტი თანდათან ეპატრონება საქართველოს დედა-ქალაქს; მკითხველს გადამეტებულად რომ არ მოეჩვენოს ჩვენი აზრი, ამისთვის საკმარისია მოვიგონოთ ვინ პატრონობს დღეს ქალაქს და ვინ შეადგენს მის მცხოვრებთა უმეტესობას. როდესაც ჩვენი და შემოხიზნულ ელემენტის ინტერესები დაუპირდაპირდა ერთმანეთს. გამარჯვებული დარჩა ისევ ეკონომიურად გაძლიერებული უცხო ელემენტი (პოლიტენიკუმის საკითხი). ეკონომიურად გაძლიერებული უცხო ელემენტი ადმინისტრაციულ ცვლილებასაც კი ახდენს საქართველოში (პროექტი ამიერ კავკასიის გუბერნიების გადამიჯვნისა). ერთი სიტყვით, უცხო ელემენტების ბატონობა ჩვენში დღეს აშკარაა. იბადება საკითხი რა საშუალებით მიაღწიეს ამ შემოხიზნულ ელემენტმა ეკონომიურ განვითარებას? პირველი საშუალება ეს მათი ფსიხიკაა ე. ი. მეჯღანუაშვილის ფსიხიკა, მეორე—მათი საჩარხო კაპიტალის წარმოება ჩვენში და მესამე ერთგვარი ფარული ბოიკოტი ჩვენდამი. პირველს ე. ი. ფსიხიკას ჩვენ არ შეეცვებით, რადგანაც ჩვენის აზრით ყველა მკითხველს კარგად მოეხსენება; რაც შეეხება საჩარხო კაპიტალის წარმოებას ჩვენში, ესეც არ თხოულობს განმარტებას, რადგანაც ვაჭრობა-მრეწველობის დასაწყისშივე პორიზონტზე სომეხი ჩარჩი მოსჩანს, რომელიც ყვლეფავს სოფლებს, დაბებს და ბოლოს ქალაქებსაც. შემოხიზნულ ელემენტის საჩარხო კაპიტალის წარმოება დღესაც დიდის ენერჯიით ხდება მთელ აღ-

მოსავლეთ საქართველოში. მესამე საშუალებად ე. ი. ჩვენდამი ბოიკოტზე ჩვენ ცოტათი შევჩერდებით.

მიუხედავად იმისა, რომ ენციკლოპედიური განმარტებით ბოიკოტი პირდაპირი, არა ფარული აქტია, შემოხიზნულ ელემენტმა მაინც თავისებური ბოიკოტი შეიმუშავა. თავისებურობა მათი ბოიკოტისა იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველად ბოიკოტს ფორმა შეუცვალეს და შემდეგ ფარული, უჩინარი გახადეს. შემოხიზნულ ელემენტის ეკონომიური ბოიკოტი ჩვენდამი, შემდეგ ოთხ ფორმულაში გამოიხატება: 1) მე მოგატყუებ, მოგპარავ, ჩალის ფასად ჩავიგდებ ხელში შენს საქონელს და თუ შენ დაგჭირდა, იმავე საქონელს ათჯერ ძვირად მოგყიდი. 2) იმ ფასად, რა ფასადაც „ჩვენი ხალხი“ ჰყიდის რამეს, შენგან არაფერს ვიყიდი. 3) ყველა დაწესებულებიდან, სადაც კი ჩვენ სიძლიერეს მოვიპოვებთ გაძევებული იქნები, მაგრამ ისეთი „ხერხით“, რომ გულიც კი არ მოგივიდეს. 4) მთელს შენს მამულ-დედულს ისეთი „ქკუით და ხერხით“, ჩავიგდებ ხელში რომ შენ თვითონ გიხაროდეს და მადლობელი იყო ჩემი—აი ასე გვიმასპინძლდება შემოხიზნული ელემენტი. ზემო აღნიშნულ ფორმულების არსებობის დასამტკიცებლად ჩვენ რამოდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: თბილისში იშვიათად შეხვდებით მეხილე-შემოხიზნულ ელემენტს, რომელიც ლალიძეს წყალს ჰყიდდეს; ქალაქის საბჭოში ქართველ მოსამსახურეთა რიცხვი $\frac{1}{2}$ პროცენტს უდრის; თბილისის კომერციულ ბანკიდან თითქმის არც ერთ ქართველ ვაჭარს არ შეუძლია სესხის აღება; ჩვენი თავდაზნაურობის მამულები უცხო ელემენტის ხელში გადადის—ასე რომ ფორმულების განხორციელება ზედმიწევნით ხდება. იბადება საკითხი, როგორი განწყობილება უნდა ვიქონიოთ იმ შემოხიზნულ ელემენტთან, რომელსაც ასეთი ფორმულები შეუშუშავებია ჩვენ წინააღმდეგ. პასუხი მხოლოდ ერთია: **გამოუცხადოთ საუკუნო ეკონომიური ბოიკოტი—არა ფარული, არამედ პირდაპირი; ჩვენი ბოიკოტი უნდა გამოეხატოთ შემდეგ ფორმულაში: სოფლებში არაფერი მივყიდოთ უცხო შემოხიზნულ ელემენტს და ქალაქში არაფერი ვიყიდოთ ამავე შემოხიზნულ ელემენტისაგან.**

როდესაც ამ ფორმულის განხორციელებას მიზნად დანახავს ყოველი ქართველი, მაშინ დანიახავთ რა სისწრაფით განვითარდეს ჩვენი ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობა და როგორ ჩამოქვეითდეს ჩვენი „ქკუიანი“ მეზობელი. არასოდეს არ უნდა ვივიწყებდეთ რომ საქართველო ქართველებისთვისაა.

ე. ალშიბაია.

ზარიაზი.

ზ რ ე ს ა

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „სახალხო გაზეთს“ თანდათან თითქო ავიწყდება სოციალისტური აბრაკადაბრა და პირდაპირ ეროვნულ საკითხებზედ გადადის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამგვარ წერილებს, ყოველთვის ვინმე სახელი და გვარი აწერია და მაშასადამე... რედაქციას შეუძლიან უარი სთქვას, როცა დასკირდება. 22 მაისის ნომერში, მაგალითად სწერია:

ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენა სომხის ბურჟუაზიას არავითარს გარანტიას არ აძლევს მუდმივ შუურუეველი ბატონობისთვის. სომხის კაპიტალი ვერ სწავლებით არ დაჭმანტონების ჩვენს ბუნებრივს და შექმნილს სიმდიდრეს, მას ახალგაზრდა ქართული კაპიტალისთვის უფველი გამოსასვლელი გზა არ დაუხშია. განა სომხის კაპიტალი ჩვენი სამშობლოს მთები უკვე გადააბრუნა, განა მან ჩვენი ტერიტორია ქარხნებით და ფაბრიკებით მოჭფინა? განა ახლად ფეხ-აღმუფს ქართულ კაპიტალს აღარაფერი აქვს გასაკეთებელი წარმოების თუ შუურნობის სფეროში?

არა, სწარმოვო ძალების გასავითარებლად სომხის ბურჟუაზიას არაფერი მოუშოქმენია: ის ამ მხრივ უფრო იმ ჰარაზიტს, ჭკავს, სხვისი სხეულით რომ საზრდობს, ვიდრე იმ ნეკრამანს, ფარულს ძალებს რომ იწვევს და ამოძრავებს. ეს ფარული სიმდიდრე ქართულს კაპიტალს უცდის და ეჭვი არ არის ეს უკანასკნელი უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდება ვიდრე მისი წინამორბედი იყო. მიტომ რომ ეს კაპიტალი ჩვენი სამშობლოს ნიადაგზე იდგება ორივე ფეხით, ის მასთან ორგანიულად იქმნება შეკავშირებული, მას ზურგს მასსათა სიძლიერე გაუმაჯრებს.

ქართველი ხალხი თანდათან იგნებს იმ ჭეშმარიტებას, რომ როგორც მისი მიუერნობისა, მრწველობისა და ვაჭრობისთვის ეროვნული კაპიტალი, ისე მისი მეცნიერებისა, ლიტერატურისა და სელფინებისთვის თავისუფალი ფონდია საჭირო. განვითარებული მეცნიერული და ესთეტიური კულტურა, ეკონომიური აუვაგების ნაყოფია და სოციალურს კომფორტს წარმოადგენს არსებითად. მშიერ მწურვალე ერს, არც სტალიან და არც ილავი შესწევს ჭეშმარიტების და მშენიერების სიძიებლად. ამიტომ ქართველი ერი

უნდა შეეცადოს, რომ მის მიერ შექმნილი ზედმეტი დირებულება მასვე დარჩეს მოსახმარად. იგი უნდა შეებრძოლოს სომხის ბურჟუაზიას არა როგორც ბურჟუაზიას, არამედ როგორც უცხო ელემენტს,*) რომელიც დამარებულის მის ზნობას, ენას, შემოქმედებას და არსოდეს არაფერს გააკეთებს მისი სულიერი კულტურის საკეთილდღოდ და მან უნდა დაიცვას საკუთარი ეროვნული კაპიტალი, არა მარტო როგორც ეკონომიური ფაქტორი, არამედ აგრედვე როგორც საფუძველი მეცნიერებისა, მწერლობისა და სელფინებისა.

ასეთი წერილები სრულიად დამრღვევია სოციალისტური უმანკობისა და რას იტყვის სოციალდემოკრატია... что скажет Марья Алексевна?

— — —
 იმავე ნომერში სწერს არ. ჯ—შვილი ბნურულის ინცინდენტის შესახებ და ასე ათავებს წერილს:

სჩანს, სოფლადკელ ჰლუტოკრატის სულ მთლად დაჭკარგვია გრძნობა ზომიერებისა, რომ აშკარა საქციელსაც არ ერიდებს და გარეგნული თავაზიანობაც კი ზედმეტ ბარგად მიანხია. ტაქტიკური მოსაზრებით მაინც არ უნდა ჩაედინათ ასეთი საქციელი, მაგრამ, როგორცა სჩანს, სიძლევილი ქართველებისადმი, შიში იმის წინაშე რომ ერთი მეტი აიგელი ქალაქის ქართველს კი არ დარჩეს, არამედ სომხის, იმდენად ძლიერი ეთოფილა, რომ გამოცდილ სრიკოსნებს ტაქტიც დააოწვდა და გარეგნული თავაზიანობაც.

ფრიად სამწუხრო და სვაფალთა ასეთი მოკლენა და, გგონია, დროა, რომ შეგნეული ნაწილი სომხის საზოგადოებისა გონს მოვიდეს.

ასეთ ახალს აღმოჩენას მაშინ აღმოაჩენს ხოლმე ბ.ნი ჯ—შვილი, როცა საქართველოში უკვე ბატის ქუჭულემაც იციან, რა ხალხია შეყრილი ქალაქის თვითმართველობაში და ბრძნულ დარიგებას აძლევს სომხებს: „გონს მოდიოთ“. არა სჯობია განა სხვის გონს თავი დაანებოთ და საკუთარი მოიკითხოთ, როდესაც ყოველი ნაბიჯი სომხური პლუტოკრატის თავხედობისა ნათლად ამტკიცებს მათს უგუნურებას.

რედაქტორ-გამომცემელი
 რ. გაბაშვილი.

*) ხაზი ჩვენია.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

სოფელ კვირიკულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო შუროს

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

სოფელდიური საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი მ ე რ ე თ ი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“.

1894 წლიდან

1914 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო დ გ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა დ გ ი ნ ო

საზოგადოება „კ ა ს ე თ ი“-სა

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.